ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი
ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შ. კ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.05.2018
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 067/18
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ /სიითი №..../
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. პ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 17 მაისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შ. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ლ. პ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2008 წლის ოქტომბერში შეუწყდა საარსებო შემწეობა სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მან სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა საჩივრით საარსებო შემწეობის აღდგენის მოთხოვნით, რაზეც სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოსცა ბრძანება №01/XXX 2009 წლის 12 ნოემბერს, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, დღემდე არ შესრულებულა. მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორმა იურიდიული დახმარებისათვის მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. შ. კ.-ისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა დაევალა ამავე დაწესებულების იურისტს, ადვოკატ ლ. პ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. პ.-ის მიერ მომზადებულმა სააპელაციო საჩივარმა შედეგი არ გამოიღო, ხოლო საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან არაერთგზის მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მოცემულ საკითხზე დახმარების მიღების მიზნით. ბოლოს 2017 წლის 12 დეკემბერს ადვოკატ ლ. პ.-ს წარუდგინა საქმის მასალები, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მასალები ვერ ჩაითვლებოდა სასამართლოს მიერ ახალ მასალებად და შესთავაზა ,,კორუფციული" გარიგება, კერძოდ ურჩია მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის

ოჯახური დახმარების მიღების მოთხოვნით. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ლ. პ. მისგან ითხოვს იმ თანხებს, რომელიც მას არ მიუღია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. პ.-მა 2018 წლის 25 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ საჩივრის ავტორმა - შ. კ.-მა მართლაც ისარგებლა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სხვადასხვა სახის იურიდიული მომსახურების სერვისებს, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის სერვისს, კერძოდ მოცემული სერვისით სარგებლობისას მოქალაქისათვის მზადდება დოკუმენტი, თუ არის ამის საფუძველი, გადაეცემა შესაბამის მოქალაქეს და ამ უკანასკნელს შეუძლია წარადგინოს შესაბამის დაწესებულებაში. მოცემული სერვისით სარგებლობისას, მომზადებული დოკუმენტის შესაბამისი მოქალაქისათვის გადაცემის მომენტიდან სრულდება მათ შორის არსებული ურთიერთობა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა შ. კ.-მ ისარგებლა სწორედ მოცემული სერვისით ორჯერ, რაც გამოიხატა მისთვის როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო საჩივრის შედგენაში. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს 2011 წლის 09 ნოემბერს გადასცა საკასაციო საჩივარი მისი საქმის მასალებთან ერთად, რითიც დასრულდა შ. კ.-ის იურიდიული მომსახურება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი, მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს განჩინება მიიღო, დაუკავშირდა ლ. პ.-ს და შეატყობინა განჩინების შინაარსი, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ მოცემულ საქმეზე დავა დასრულებული იყო და სასამართლო აღნიშნულ საკითხს თავიდან არ განიხილავდა, ვინაიდან, საჩივრის ავტორს აინტერესებდა 2009 წლის 12 ნოემბრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, რაზეც სასამართლოს უკვე ჰქონდა ნამსჯელი დავის ფარგლებში. ადვოკატმა შ. კ.-ს შესთავაზა თავიდან მიემართა სააგენტოსათვის საჩივრით. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა მას ასევე უთხრა, რომ გააჩნდა საქმის ახალი მასალები, კერძოდ ასეთ მასალებად უთითებდა 2009 წლის 12 ნოემბრის ინდივიდუალურ-ადმნისტრაციულ აქტს, რაზედაც მან აუხსნა საჩივრის ავტორს, რომ მოცემული აქტი ვერ ჩაითვლებოდა ახალ მასალად. ადვოკატმა შ. კ.-ს საუბრისას აუხსნა, რომ მისი უკანასკნელი კონსულტაცია რჩებოდა ძალაში იგივე შინაარსით და ახალს ვერაფერს დაამატებდა, რადგან ასეთი პასუხი იქნებოდა შინაარსობრივად არასწორი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის განცხადება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ იგი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ბოლოს მისული იყო 2017 წლის 12 დეკემბერს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან, როგორც თავად ადვოკატი აღნიშნავს, მოცემული ორგანიზაციის საქმეთა მართვის ელექტრონულ ბაზებში ასახულია ინფორმაცია მის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ გასული წლის განმავლობაში, სადაც არ ფიქსირდება მის მიერ საჩივრის ავტორისადმი მოცემულ მომენტში იურიდიული მომსახურების გაწევა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ყოველგვარი იურიდიული დახმარება არის უფასო, შესაბამისად უთითებს, რომ მისთვის გაუგებარია ის, თუ ვის გულისხმობს საჩივრის ავტორი იმ სუბიექტად, რომელიც მისგან ითხოვს თანხას.

2.7 ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ფიზიკურად შეუძლებელია კლიენტს გაუწიო კონსულტაცია ვინმეს დასწრების გარეშე, ვინაიდან

საკონსულტაციო ოთახში მინიმუმ ერთი თანაშემწე ყოველთვის ისმენს კონსულტაციას და ასახავს ელექტრონულ ბაზაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. პ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 შ. კ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 17 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2010 წლის 27 ოქტომბრიდან 2011 წლის 09 თებერვლის ჩათვლით. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან გასულია 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მან ადმინისტრაციულ დავაზე იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რაზეც მოცემული ორგანიზაციის ადვოკატმა ლ. პ.-მა მოუმზადა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, რასაც საჩივრის ავტორისთვის დადებითი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვა; ამავდროულად ადვოკატმა შესთავაზა მას „კორუფციული" გარიგება, რათა მიემართა სოციალური სააგენტოსათვის „ოჯახური დახმარების" მიღების თხოვნით; ასევე ადვოკატი მისგან ითხოვდა იმ თანხებს, რომელიც მას არ მიუღია.

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სადაო მოქმედების შეფასებისას მოწმდება საჩივრის შემოტანის ხანდაზმულობის ვადა. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი". „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა."

5.3 შ. კ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 17 მაისს. საქმეში არსებული დოკუმენტაციით, შ. კ.-ის ადმინისტრაციულ დავაზე შედგენილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრებით დგინდება, რომ ადვოკატმა ლ. პ.-მა საჩივრის ავტორს იურიდიული მომსახურება 2010 წლის 27 ოქტომბრიდან 2011 წლის 09 თებერვლის პერიოდში გაუწია, იურიდიული დოკუმენტების, კერძოდ ადმინისტრაციულ

საქმეზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შედგენისა და მისთვის გადაცემის სახით. საჩივრის ავტორის პრეტენზიები ეხება ადვოკატის მიერ მოცემული დროის მონაკვეთში განხორციელებულ ქმედებებს. მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ 2011 წლის შემდეგ ადვოკატ ლ. პ.-ს შ. კ.-ისთვის საადვოკატო მომსახურება აღარ გაუწევია. შესაბამისად, 2018 წლის 17 მაისს ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვისას შ. კ.-ის პრეტენზიები ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ ხანდაზმულია, ვინაიდან სადაო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის 5 (ხუთ) წლიანი ვადა გასულია. ხანდაზმულობის საფუძვლით კოლეგია იღებს წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას და შ. კ.-ის პრეტენზიებს სამართლებრივად ვეღარ შეაფასებს.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №067/18 ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/